

გასტრონომია, როგორც ეთნოგრაფიული რეალია და მისი თარგმნის  
თავისებურება (ქართულიდან ინგლისურ ენაზე ნათარგმნი  
კულინარიული ტექსტების მიხედვით)

მარიამ ხარაიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული  
ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა  
(მიმართულება: ანგლისტიკა)

სამეცნიერი ხელმძღვანელი: ნინო მატარაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მარიამ ხარაიძე

10.07.20

## აბსტრაქტი

კულტურული კონცეპტების სამიზნე ენაში გადატანა მთარგმნელისთვის ყოველთვის რთულ ამოცანას წარმოადგენდა, რადგანაც ის მოიცავს ერთი ენიდან მეორეში კულტურულად მარკირებული სიტყვების გადატანასა და თარგმნას. მთარგმნელი კომუნიკაციას ამყარებს მკითხველთან, რომელსაც სხვადასხვა ლინგვისტური და კულტურული ისტორია აქვს. გასტრონომია კი კულტურის განუყოფელი ნაწილია, რადგან იგი წარმოადგენს ყოველდღიური ცხოვრების, რელიგიური რწმენა-წარმოდგენების, წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების სარკეს, რომელიც მრავალ განსხვავებულ იდენტობას ასახავს. ნაშრომში ქართულიდან ინგლისურ ენაზე ნათარგმნი, საანალიზოდ შერჩეული კულინარიული ტექსტების საფუძველზე განხილულია გასტრონომიის, როგორც ეთნოგრაფიულ რეალიის. თარგმნის თავისებურება. კვლევა ეყრდნობა პიტერ ნიუმარკის ტაქსონომიას (1988), რომელშიც წარმოდგენილია კულტურული კონცეპტების თარგმნის სტრატეგიები. საკვლევი მასალიდან ერთ-ერთია ელენე ბედუელის კულინარიული წიგნი “Eat Georgian Feel Good” (2019), ხოლო მეორე წყაროდ ვიყენებთ „წისქვილი ჯგუფი“-სა და „კრწანისი რეზიდენსი“-ს მენიუებს. შერჩეული ტექსტების საფუძველზე გაანალიზებულია ქართული ტრადიციული კერძების დასახელებების ინგლისურად თარგმნის ტენდენციები და იდენტიფიცირებულია სტრატეგიები, რომლებსაც მიმართავენ მთარგმნელები. ნაშრომში განხილულია ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს ამა თუ იმ სტრატეგიისთვის უპირატესობის მინიჭებას. კვლევის ფარგლებში ასევე მოცემულია მსჯელობა იმის შესახებ, თუ რომელი მთარგმნელობითი სტრატეგია განაპირობებს კულტურის უნიკალურობა არ დაიკარგოს, რაც თავის მხრივ საინტერესო იქნება არა მხოლოდ უშუალოდ თარგმანზე მომუშავე ინდივიდებისთვის, არამედ მათთვის ვინც დაინტერესებულია ქართული კულინარიის თვითმყოფადობის შენარჩუნებით.

**საკვანძო სიტყვები:** კულტურული კონცეპტები, გასტრონომიული კულტურა, ეკვივალენტობა, მთარგმნელობითი სტრატეგიები.

## Abstract

Transmitting cultural concepts has always been a challenging task for the translator, as it involves transferring and translating culturally marked words from one language into another. The translator communicates with readers of different cultural and linguistic backgrounds. Gastronomy is an inseparable part of culture as it reflects everyday life, religious beliefs, customs and traditions that relate to different identities. The following thesis discusses gastronomy as ethnographic realia studying the peculiarities of its translation according to the culinary texts translated from Georgian to English. The research is based on Peter Newmark's taxonomy (1988), which describes different strategies to overcome the difficulties arising in the translation of cultural concepts. Helena Bedwell's culinary book "Eat Georgian Feel Good" (2019) and menus from two restaurants: "Tsiskvili Group" and "Krtsanisi Residency" are used as empirical data for the research. The thesis explores the peculiarities of translating the names of Georgian traditional dishes into English and identifies the strategies employed by translators. It also discusses the factors that give preference to particular strategy. The information obtained from the research can be used to further examine the strategies that help preserve the uniqueness of a particular culture.

**Keywords:** Cultural concepts, gastronomic culture, translating strategies